ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 335

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 604 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.648) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის პირველი, მე-3 პუნქტებისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 604 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.648) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირთან - ნინო კენჭიშვილთან (პ/ნ: 61001015383) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის #37.16.809 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 604 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.36.014.648) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად, (1 ლარად) პრივატიზებაზე, ნინო კენჭიშვილთან (პ/ნ: 61001015383) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**